



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

(მეორე სექცია)

საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ  
(საჩივარი №38736/04)

გადაწყვეტილება

წინამდებარე ვარიანტი დამტკიცებულია 2008 წ. 24 იანვარს სასამართლოს  
რეგლამენტის 81-ე წესის შესაბამისად

2007 წ. 31 ივლისი სტრასბურგი

საბოლოო გახდა

30/01/2008

*წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს რედაქტირებას.*

## საქმეზე სკ „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატა შეიკრიბა რა შემდეგი შემადგენლობით:

ფ. ტულკენსი, პრეზიდენტი,

ი. კაბრალ ბარეტო,

რ. თიურმენი,

მ. უგრეხელიძე,

ვ. ზაგრებელსკი,

ა. მულარონი<sup>1</sup>,

დ. პოპოვიჩი, მოსამართლეები და

ქალბატონი ფ. ელენ-პასოსი, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,

2007 წ. 10 ივლისს განიხილა საქმე დახურულ სხდომაზე და იმავე დღეს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმის საფუძველია საფეხბურთო კლუბ „მრეტების“ („მომჩივანი“) მიერ 2004 წ. 25 ოქტომბერს ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი (№38736/04). მომჩივანი წარმოდ-გენილ იქნა თავისი თავმჯდომარის, ბ-ნი ვ. ჩხაიძისა და თბილისში მოღვაწე ადვოკატების ბ-ნი გ. სვანიძის, ბ-ნი ი. ბარათაშვილისა და ბ-ნი. ა. ბარამიძის მიერ.

2. საქართველოს მთავრობა („მთავრობა“) წარმოდგენილი იყო სახელმწიფო წარმომადგენლის, ბ-ნი ბ. ბოხაშვილის მიერ, იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2006 წ. 4 სექტემბერს სასამართლომ გა-დაწყვიტა ეცნობებინა მთავრობისთვის იმ საჩივრის შესახებ, რომლის თანახმადაც უზენაესი სასამართლო არ იყო ხელმისაწვდომი ორგანო. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის დებულებების შესაბამისად მან გადაწყვიტა საჩივრის არსებითი მხარე და მისაღებობა განეხილა ერთდროულად.

4. მთავრობამ და მომჩივანმა, თითოეულმა, წარადგინა მიმოხილვა საჩივრის მისაღებობისა და არსებით მხარესთან დაკავშირებით (სასამართლოს რეგლამენტის მუხლი 54ა).

<sup>1</sup> დამტკიცებულია 2008 წ. 24 იანვარს: მოსამართლე ბაკას სახელი, რომელიც შეცდომით ნახსენებია მოსამართლეთა სიაში, შეიცვალა მოსამართლე მულარონით.

## ფაქტები

### 1. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი კლუბი დაარსდა 1988 წ. 3 თებერვალს, თბილისში. ბოლო ცვლილებების შედეგად მის კორპორაციულ სტრუქტურაში, 1999 წ. 10 თებერვალს, ვაკის რაიონულმა სასამართლომ თბილისში გააერთიანა მომჩივანი როგორც გერმანული შპს-ს „BAUML GmbH“-ის ფილიალი,

#### *1. სასამართლო განხილვა დინამოს საფეხბურთო კლუბის წინააღმდეგ*

6. 1990 წ. 5 დეკემბრისა და 11 მაისის ხელშეკრულებებით, მომჩივანმა დაიქირავა ბ-ნი გიორგი ქინქლაძე („ფეხბურთელი“) როგორც პრო-ფესიონალი მოთამაშე 1993 წ. 30 ივნისამდე.

7. 1992 წ. 11 ივლისს მომჩივანი და საფეხბურთო კლუბ დინამოს სკ, ორივე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრი (“GFF”), დებენ ხელშეკრულებას ფეხბურთელის გადაცემის შესახებ დინამოს საფეხბურთო კლუბისთვის. შეთანხმებულ იქნა, რომ ფეხბურთელი ითამაშებდა ახალი კლუბის-თვის მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გადაუხდოდა მომჩივანს 1,000,000 საბჭოთა რუბლს (6,000 ევროს ეკვივალენტი მომჩივანის თანახმად). გარდა ამისა, თუ ფეხბურთელი მოგვიანებით გადაყვანილ იქნებოდა საზღვარგარეთ, მომჩივანს უნდა მიეღო საერთაშორისო ტრანსფერის გადასახადის 50%, რომელიც ემართა დინამოს სკ-ს. იმ შემთხვევაში, თუ დინამო არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას, ხელშეკრულება მასსა და ფეხბურთელს შორის დაკარგავდა კანონიერ ძალას.

8. 1992 წ. 13 აგვისტოს, დინამოს სკ-მა გადაუხადა მომჩივანს შეთანხმებული თანხა რუბ-ლებში და განხორციელდა ადგილობრივი ტრანს-ფერი.

9. 1995 წ. 11 ივლისის ხელშეკრულების მიხედვით, სკ-მა „დინამომ“ გადასცა ფეხბურთელი მანჩესტერ სიტის საფეხბურთო კლუბს ერთდრო-ულად გადახდილ თანხად – 1,750,000 აშშ დოლარად (ევრო 1,380,000<sup>2</sup>). იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელის შემდგომი ტრანსფერი განხორციელდებოდა ინგ-ლისის კლუბის მიერ თანხად, რაც აღემატებოდა 3, 000,000 აშშ დოლარს (2,370,000 ევრო), დი-ნამოს საფეხბურთო კლუბი უფლებამოსილი იყო მიეღო 10% ზედმეტი თანხიდან. შესაბამისად,

---

<sup>2</sup> აქ და შემდგომ, მიახლოებითი კონვერსიები მოცემულია აშშ დოლარის სავალუტო კურსის, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის, შვეიცარიული ფრანკისა და საქართველოს ლარის შესაბამისად ევროს მიმართ 2007 წ. 5 ივნისს.

მანჩესტერ სიტის საფეხბურთო კლუბმა მართლაც გადასცა ფეხბურთელი საფეხბურთო კლუბ „აიაქს“ და დინამოს საფეხბურთო კლუბმა ამრიგად მიიღო დაახლოებით 1,250,000 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (1,820,000 ევრო) ინგლისის კლუბისგან.

10. მიიღო რა ერთიანი თანხით გადახდის ტრანს-ფერი მანჩესტერ სიტის საფეხბურთო კლუბიდან, დინამოს საფეხბურთო კლუბს არასოდეს არ გადაუგზავნია მომჩივნისათვის 1992 წ. 11 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრო-ცენტი. თავისი კუთვნილი თანხის ძიებაში მომჩივანმა საჩივრით მიმართა საქართველოს ფეხ-ბურთის ფედერაციას.

11. 1997 წ. 2 იანვარს საქართველოს ფეხ-ბურთის ფედერაციის დავების კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ დინამოს საფეხბურთო კლუბს მართებს 875,000 აშშ დოლარი (691,000 ევრო), რაც შეესაბამება იმ საფასურის ნახევარს, რომელიც მანჩესტერ სიტის საფეხბურთო კლუბმა გადაიხადა. „დინამოს“ საფეხ-ბურთო კლუბს მიეთითა, რომ გადაეხადა ეს თანხა სამ ეტაპად.

12. 1997 წ. 14 აპრილს მომჩივანმა საქმე მიმართა „ფეხბურთის საერთაშორისო ფედერა-ციაში“ („ფიფა“), რითაც ითხოვდა მათ ჩარევას, რათა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აღეს-რულებინა 1997 წ. 2 იანვრის მისივე გადაწყვეტილება.

13. 1997 წ. 28 აპრილს, 12 ივნისს, 29 ივლისსა და 28 აგვისტოს „ფიფამ“ შეახსენა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მისი ვალდებუ-ლების შესახებ, აღესრულებინა გადაწყვეტილებები და ამრიგად, მოეგვარებინა დავა საქართველოს კლუბებს შორის, ამასთან, აფრთხილებდა, რომ ფიფას დირექტივების შეუსრულებლობას შედეგად მოჰყვებოდა დისციპლინარული პროცედურები საქართველოს ფეხ-ბურთის ფედერაციის მიმართ.

14. 1997 წ. 1 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაუდებელ საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით „დინამოს საფეხბურთო კლუბს“ დაევალა მომჩივნისთვის 875,000 აშშ დოლარის (691,000 ევრო) მთლიან თანხად დაუყოვნებლივ გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „დინამოს“ საფეხ-ბურთო კლუბი გამოირიცხებოდა საქართველოს ჩემ-პიონატის მეორე ნაწილიდან. მაგრამ ეს სანქცია არ გაათავისუფლებდა მოვალეს თავისი მოვალეობიდან, შეესრულებინა ფინანსური ვალდებულება მომჩივნის მიმართ. ამას გარდა, საქართველოს ფეხბურ-თის ფედერაციამ გააფრთხილა ორივე კლუბი, რომ მათ ეკრძალებოდათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ფიფას წესდებების თანახმად დავა გაეხადათ სასამართლოს განსახილველი.

15. მომჩივნის 1998 წ. 16 აპრილის და 6 ივნისის საჩივრებიდან გამომდინარე, რომ დავა ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული, ფიფამ კვლავ გაუგზავნა შეტყობინება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რითაც მოითხოვდა ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებების აღსრულებას არა უგვიანეს 1998 წ. 31 აგვისტოსა, საერთაშორისო სანქციების გამოყენების საფრთხის გათვალისწინებით.

16. ამავედროულად, „დინამოს საფეხბურთო კლუბმა“ მიმართა სამოქალაქო სასამართლოს. 1998 წ. 13 ივლისის სასამართლო გადაწყვეტილებაში ვაკე-

საბურთალოს რაიონული სასამართლო თბილის-ში აცხადებს, რომ გადაცემის ხელშეკრულება, რო-მელსაც ხელს აწერს ორივე მხარე 1992 წ. 11 ივლისს, ანულირებულია. შესაბამისად, ანულირებულ იქნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადავო საკითხების კომიტეტის 1997 წ. 2 იანვრის გადაწყვეტილებაც. მოსმენის დროს, მომჩივანმა აღნიშნა, რომ რაიონულ სასამართლოს არ ჰქონდა არავითარი უფლება განეხილა საკითხი, რადგანაც კლუბები, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრები, სარგებლობდა იმუნიტეტით ჩვეულებრივი სასამართლოების იურისდიქციისაგან. ეს არგუმენტი უპასუხოდ იქნა დატოვებული. სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრებულა, გახდა სავალდებულო შესასრულებლად.

17. 1998 წ. 17 სექტემბერს, მოცემული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა გაეუქმებინა 1997 წ. 1 სექტემბრის გადაწყვეტილება და, ამ-რიგად, შეეწყვიტა დავა.

18. 1999 წ. 24 აგვისტოს მომჩივანმა მიმართა ფიფას მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტის ბიუროს („ბიურო“), დავების გადაწყვეტის ორგანოს. 1999 წ. 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში ბი-ურომ ჩათვალა, რომ ფიფა უნდა ჩაერიოს, რადგანაც აშკარა იყო, რომ ერთ-ერთი მხარე „არ იქცეოდა სათანადოდ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ვერ შეძლო დამოუკიდებლად მოეგვარებინა საქმე“.

19. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 1998 წ. 13 ივლისს გაკეთებული დასკვნების ეჭვქვეშ დაყენების გარეშე 1992 წ. 11 ივლისის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, ბიურომ 1999 წ. 6 სექტემბერს განაცხადა, რომ ფეხბურთელის ტრანს-ფერი მომჩივნისაგან დინამოს საფეხბურთო კლუბისთვის მანც შედგა და არავითარი კომპენსაცია არ ყოფილა გადახდილი საპასუხოდ. შესაბამისად, ბიურომ დაასკვნა:

„ორ კლუბს შორის მოხდა მოთამაშეზე ფედერაციული უფლებების ფლობის გადაცემა, ყოველგვარი სახელშეკრულებო ვალდებულების გარეშე (რადგანაც გადაცემის ხელშეკრულება გამოცხადდა ანულირებულად სასამართლოს მიერ) და, რადგანაც ერთ-ერთმა მხარემ მართლაც შეასრულა თავისი ვალდებუ-ლებები, ლოგიკური იყო იმ მხარისთვის მომხდარიყო ზიანის ანაზღაურება, მათი კეთილსინდისიერი ქმედების გამო“.

20. ფაქტების დადგენის შედეგად, ბიურომ გა-დაწყვიტა, რომ ფეხბურთელის წვრთნისა და განვითარებისათვის კომპენსაცია უნდა გადაეხადოს მომჩივანს; ორივე კლუბს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი, რომ მოილაპარაკონ თანხაზე. შემდგომი შეუთანხმობ-ლობის შემთხვევაში „ფიფას“ სპეციალური კომიტეტი გადაწყვეტდა საკითხს მათ ნაცვლად. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ დინამოს საფეხბურთო კლუბმა უხეშად დაარღვია ფიფას წესდებების 59-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი იმით, რომ დავა წარად-გინა სასამართლოში, ბიურომ დააჯარიმა აღნიშნული კლუბი 20,000 CHF (12,824 ევროთი).

21. მომჩივანმა წარადგინა საჩივარი ამ გა-დაწყვეტილების წინააღმდეგ ფიფას აღმასრულებელ კომიტეტში („აღმასრულებელი კომიტეტი“), რო-მელმაც გამოიტანა თავისი საბოლოო გადაწყვეტი-ლება 2000 წ. 24 მარტს. ვინაიდან, საჩივარი ვადების დარღვევით იყო წარდგენილი, აღმასრუ-ლებელმა კომიტეტმა არ მიიღო იგი. მაგრამ,

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კლუბებმა ვერ შეძლეს შეთანხმებულიყვნენ კომპენსაციის თანხაზე, განისაზღვრა, რომ დინამოს საფეხბურთო კლუბს უნდა გადაეხადა მომჩივნისათვის 300,000 აშშ დოლარი (236,000 ევრო).

22. დინამოს საფეხბურთო კლუბმა შეასრულა ეს გადაწყვეტილება და სრულად გადაიხადა ვალი 2001 წ. იანვარში.

## *2. სასამართლო პროცესი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ*

23. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თანხა, რომელიც ფიფამ დანიშნა, არ იყო საკმარისი ზარა-ლის ასანაზღაურებლად, მომჩივანმა გადასცა საქმე სასამართლოს 9,600,000 აშშ დოლარის და 2,812,500 დიდი ბრიტანეთის სტერლინგის ოდენობის ზიანის თაობაზე (მთლიანად 11,750,000 ევრო) სა-ქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ. იგი აცხადებდა, რომ მოპასუხემ, თავისი წესდებების საწინააღმდეგოდ, ვერ შეძლო შეესრულებინა თავისი პოზიტიური ვალდებულება დაეცვა თავისი წევრი კლუბების უფლებები. ამ უყურადღებობის შედეგად, მოხდა უმართებულო გამდიდრება დინამოს სა-ფეხბურთო კლუბისა მომჩივნის ქონებრივი უფლებების ხარჯზე.

24. მომჩივანი აგრეთვე ითხოვდა სასამართლოს ხარჯების გადახდის გადავადებას (რომე-ლიც ცნობილია სახელმწიფო ბაჟის სახით) საქმის განხილვამდე. 2003 წ. 11 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლომ უარი თქვა ბაჟის გადახდის გადავადებაზე იმ საფუძველით, რომ მომჩივნის მოთხოვნა არ იყო დასაბუთებული გაკოტრების და-მადასტურებელი მტკიცებულებით. რადგანაც, საჩივ-რის ღირებულება იყო მაღალი, 2003 წ. 5 მაისს მომჩივანმა საბოლოოდ გადაიხადა სასამართლოს ხარჯები, მაქსიმალური თანხით 5,000 ლარი (2,200 ევრო), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პარაგრაფების შესაბამისად.

25. თბილისის საოლქო სასამართლომ, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, განიხილა ქმე-დება 2003 წ. 13 ნოემბერს და არ მიიღო ის დაუსაბუთებლობის მოტივით.

26. 2004 წ. 5 იანვარს, მომჩივანმა წარადგინა საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში. იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მან შეაჩერა თავისი საქმიანობა ფინანსური პრობ-ლემების გამო (თითქმის გაკოტრება), რაც გამოწ-ვეული იყო მოპასუხის უკანონო ქმედებით, მომჩივანმა მოითხოვა სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება საკასაციო წარმოების ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ხარჯებისაგან სრული გათავისუფლების თაობაზე წინადადება არ იქნებოდა მიღებული, მომჩივანი ითხოვდა სასამართლო ხარჯების შემცირებას ან გადავადებას.

27. 2004 წ. 30 იანვარს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა დაეკმაყოფილებინა მომჩივნის მოთხოვნა სასამართლო ხარჯებისაგან ნაწი-ლობრივი ან სრული გათავისუფლების თაობაზე. ყოველგვარ კონკრეტულ გარემოებაზე მითითების გარეშე სასამართლომ პირდაპირ განაცხადა, რომ ხარჯებისაგან გათავისუფლების

არავითარი საფუძ-ველი არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-49-ე მუხლების საფუძველზე. სასამართლომ შესთავაზა მომჩივანს, გადაეხადა 5,000 ლარი თოთხმეტი დღის ვადაში. ბაჟის გადაუხდე-ლობის გამო უზენაესმა სასამართლომ 2004 წ. 15 მარტს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად გამოა-ცხადა. ეს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე გამართულ პროცესზე, გადაეცა მომჩივანს 2004 წ. 26 აპრილს.

28. როგორც მომჩივანი აცხადებს, ის, რომ მან ვერ შეძლო მიეღო დინამოს საფეხბურთო კლუ-ბისგან სათანადო ანაზღაურება ფეხბურთელის გა-დაცემისთვის, აგრეთვე მაღალი გადასახადები, რო-მელთა გადახდამაც მოუწია ადგილობრივ და საერთა-შორისო პროცესებზე დინამოს საფეხბურთო კლუბისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღ-მდეგ, იყო მთავარი მიზეზი მისი ფინანსური კოლაპ-სისა. 2005 წ. 15 მარტის აუდიტორის დასკვნამ დაადასტურა მომჩივნის გაკოტრება, რასაც შე-დეგად მოჰყვა მისი საქმიანობის შეწყვეტა ფეხბურთის სფეროში. დასკვნაში აღნიშნულია, რომ იმის გამო, რომ მომჩივანს არ შეეძლო გადაეხადა მონა-წილეობისათვის დადგენილი გადასახადი, მომჩივანი გამოთიშეს ეროვნული ფეხბურთის ჩემპი-ონატიდან 2002 წლიდან. სხვა დაუფარავ ვალს შო-რის, აუდიტორის დასკვნაში აღნიშნულია სესხზე პროცენტის განაკვეთი, რომელიც მომჩივანმა მიიღო იმისათვის, რომ გადაეხადა სასამართლოს ბაჟი 5,000 ლარის ოდენობით საოლქო სასამართ-ლოში საქმისწარმოებისათვის (ზემოთ აღნიშნული §24).

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

29. იმ დროს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი („სსკ“).

**მუხლი 14: „...პირველი ინსტანციის რაინული სასამართლო“**

„...რაიონული სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს საქმეს, თუ საჩივრის ღირებულება აღემატება 500,000 ლარს [224,000 ევრო]...“

**მუხლი 37 §2: „ცნებათა განსაზღვრა“**

„სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები“

**მუხლი 38. „სახელმწიფო ბაჟი“**

„სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით:

- ა) სარჩელზე...; ...
- ფ) სააპელაციო საჩივარზე;
- გ) საკასაციო საჩივარზე..“.

**მუხლი 39, §§1 და 2: „სახელმწიფო ბაჟის ოდენობა“**

„სახელმწიფო ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს:

ა) [სარჩელის შესატანად სახელმწიფო ბა-ჟი]...შეადგენს სადავო საგნის ღირებულების 2,5 პროცენტს;

ბ) სააპელაციო საჩივრისათვის \_ სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტს;

გ) საკასაციო საჩივრისათვის \_ სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტს;

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.“

#### **მუხლი 40, §1 „დავის საგნის ღირებულება“**

„დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე.“

#### **მუხლი 41: „დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში“**

„დავის საგნის ფასი ქონებრივ დავებში შემდეგ-ნაირად განისაზღვრება:

ა) ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელისა \_ გადასახდელი თანხით;“

#### **მუხლი 47 §1: „სასამართლოს ხარჯების გა-დახდისაგან გათავისუფლება“**

„სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარე-ობის გათვალისწინებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბი-უჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გა-დახდისაგან.“

#### **მუხლი 48: „სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება ან განაწილვადება და მათი ოდენობის შემცირება“**

„სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუდოს ან გაუნაწილვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს ხარჯების ოდენობა.“

#### **მუხლი 49 §1: „სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირება“**

„სასამართლო ხარჯების ოდენობა განახევრდება, თუ:...

გ) გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.“

102-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით როგორც მომჩივანი, ასევე მოპასუხე ვალდებული არიან დაამტკიცონ ის გარემოებები, რომლებზედაც ისინი ამყარებენ თავიანთ არგუმენტებს შეჯიბრებითობის პროცესში.

185-ე მუხლისა და 396-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, თუ სახელმწიფო ბაჟი არ იქნა გადახდილი საკასაციო საჩივრის შეტანის დროს, სასამართლო მოსთხოვს შესაბამის მხარეს გადა-იხადოს იგი დადგენილი დროის მონაკვეთში. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ დაიცავს დადგენილ ვადას, საჩივარი არ განიხილება და სასამართლო პროცესი შეწყდება.

## **სამართალი**

1. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის სავარაუდო დარღვევა



30. მომჩივანი ასაჩივრებს, რომ უზენაესმა სასამართლომ ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე უარი თქვა გაეთავისუფლებინა იგი ზედ-მეტად მაღალი სასამართლო ხარჯებისგან, რითაც მას შეეზღუდა ხელმისაწვდომობა სამართალწარმო-ებაზე და მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი. შემდგომ ასაჩივრებდა რა, რომ „დინამოს საფეხბურთო კლუბს“ მფარველობდნენ გარკვეული ტიპის მაღალი ოფიციალური სამთავრობო პირები და რომ კორუფცია სასამართლო სისტემაში იყო ჩვეულებრივი მოვლენა, მომჩივანი პრეტენზიას გამოთქვამს მიუკერძოებლობის არარსებობის შესახებ ადგილობრივი სასამართლოების ნაწილში. დაბოლოს, იგი ასაჩივრებს სასამართლო განხილვის შედეგებს, მიუთითებს რა, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა არასწორად ახსნეს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებები.

მუხლი 6§1 მიუთითებს:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა გან-საზღვრისას..., ყველას აქვს უფლება მისი საქმე განხილულ იქნეს... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...“

#### ა. მისაღებობა

1. რაც შეეხება პროცესის შედეგებს და სა-სამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობას

31. სასამართლო აცხადებს, რომ მისი ამოცანა არ არის იმოქმედოს როგორც „მეოთხე ინსტანციის“ სააპელაციო სასამართლომ ადგილობრივი სასამართლო განხილვის შედეგის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების გზით. ადგილობრივი სასამართლოები იმყოფებიან უმჯობეს მდგომარეობაში, რათა შეა-ფასონ მტკიცებულებათა შესაბამისობა საქმეში წარმოდგენილ საკითხებთან მიმართებით, ინტერპრე-ტაცია მისცენ და გამოიყენონ მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებები. (იხ. სხვა მაგალითებს შორის Vიდალ ვ. ბელგიუმ“ სასამართლო გადაწყვეტილება 1992 წ. 22 აპრილი, სერია ა, №235-ბ, გვ.32-33, §32; გურეპკა ვ. უკრაინე, № 61406/00, §45, 2005 წ. 6 სექტემბერი). მოცემულ საქმეში შესაბამისი ადგილობრივი გადაწყვეტილებები არ შეიცავს რაიმე თვითნებურ დასაბუთებას (ამის საპირისპიროდ, დონადზე ვ. გეორგია, №74644/01, §32, 2006 წ. 7 მარტი) და სასამართლო ვერ ხედავს ვერავითარ ნიშანს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევისა სასამართლო განხილვის შედეგებთან დაკავშირებით.

32. რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიას, რომ ადგილობრივი სასამართლოები არ იყვნენ მი-უკერძოებლები, რადგანაც ისინი იყვნენ კორუმპი-რებულნი, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს არის უბრალო მოსაზრება, რომელიც არ არის დადასტუ-რებული რაიმე ფაქტებითა და მტკიცებულებით.

33. ასეთ გარემოებებში სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ეს ნაწილი არ არის საკმარისად დასაბუთებული და ის დაუშვებლად უნდა გამოცხადდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად.

## *2. ხელმისაწვდომობა უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვაზე*

34. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის საჩივარი უზენაეს სასამართლოში მისი საქმის განხილვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შესახებ არის საკმარისად დასაბუთებული კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის მიზნებისათვის. სასამართლო შემდგომში აღნიშნავს, რომ იგი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველზე. ამიტომ უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

## **ბ. საქმის არსებითი მხარე**

### *1. მხარეთა არგუმენტები*

35. მთავრობამ განაცხადა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ ფიზიკური პირები შეიძლება გათავისუფლდნენ სრულად სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. შესაბამისად, რადგანაც მომჩივანი იყო იურიდიული პირი, იგი არ ხვდებოდა ზემოთ აღნიშნული დებულების მოქმედების სფეროში და შეეძლო მხოლოდ მოეთხოვა ასეთი ხარჯების გადახდა გადავადებით ან შემცირებული ოდენობით, როგორც აღნიშნულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლში. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნების საპირის-პიროდ, მომჩივანმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა მისი განცხადება ფინანსური სირთულეების შესახებ, და უზენაესმა სასამართლომ მართებულად თქვა უარი ფინანსურ შეღავათზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით. შემდგომ მთავრობამ წამოაყენა პრეტენზია და განმარტა, რომ მა-ნამ, სანამ მომჩივნის საკასაციო საჩივარი სასამართლოს ხარჯების გადაუხდელობისთვის და-უშვებლად გამოცხადდებოდა, უზენაესმა სასამართლომ მოუწოდა ამ უკანასკნელს წარედგინა გაკოტრების დამადასტურებელი მტკიცებულება.

36. მთავრობა ამტკიცებს, რომ

- ხარჯების თანხა – 5,000 ლარი (2,200 ევრო) – უმნიშვნელო იყო;
- ნებისმიერ საფეხბურთო კლუბს საქართველოში, ყველაზე ღარიბსაც კი შეუძლია გადაიხადოს იგი; და

– ნებისმიერ შემთხვევაში ხარჯები არ უნდა ყოფილიყო განხილული როგორც არაპროპორციული, ზარალის სრული ოდენობის გათვალისწინებით.

მთავრობამ შეადარა ბოლო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც გაზარდა სასამართლოს მაქსი-მალური ხარჯები 50.000 ლარამდე (22,000 ევრო). მომჩივანს უნდა სცოდნოდა, რომ სასამართლო წარმოება დამოკიდებული იყო ამ ხარჯების გა-დახდაზე. მას შემდეგ, რაც მომჩივანმა მიიღო 236,000 ევრო „დინამოს საფეხურთო კლუბიდან“, მას უნდა გადაედო სასამართლო წარმოების დასა-ფინანსებელი თანხა. რადგანაც სასამართლო ხარ-ჯების დაწესება ემსახურებოდა კანონიერ მიზანს სამართლიანი და ეფექტიანი სასამართლო წარმოების ადმინისტრირებისათვის, თანხა 5,000 ლარის ოდენო-ბით, მთავრობის თვალსაზრისით, არ შეიძლება ჩაით-ვალოს უსაფუძვლო ან არაპროპორციულ შეზღუდ-ვად. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობამ განაცხადა, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ უკვე განიხილა არსებითად მომჩივნის საჩივარი სა-ქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ და დაუშვებლად ცნო იგი დაუსაბუთებლობის საფუძველზე.

37. მომჩივანი პასუხად კვლავ იმეორებს, რომ მას არ შეეძლო სასამართლო ხარჯების დაფარვა, რადგანაც იგი ფინანსურად განადგურებული იყო იმ დროისათვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო განხილვისას დინამოს საფეხურთო კლუბთან მისი წინა დავის გამო. ამასთან მიმართებაში მან გან-საკუთრებით აღნიშნა, რომ აცნობა უზენაეს სასამართლოს თავისი გადახდისუუნარობის შესახებ. ეს ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლებოდა ადვილად დადასტურებულიყო იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც ეხება მის დავას დინამოს საფეხურთო კლუბთან და მოიპოვებოდა საქმის მასალებში. სავალო თანხა, რომელიც მიღებულია დინამოს საფეხურთო კლუ-ბიდან დაიხარჯა მისი ვალების უმნიშვნელო ნაწილის დასაფარად და ვერ ჩაითვლებოდა როგორც მისი ფინანსური შესაძლებლობის მაჩვენებელი. თუ უზენაესი სასამართლო არ დაკმაყოფილდა მომჩივნის გადახდისუუნარობის დამადასტურებელი საბუთით, მას უნდა აღენიშნა ეს თავის 2004 წ. 30 იანვრის გამაფრთხილებელ გადაწყვეტილებაში და შეეთა-ვაზებინა მომჩივნისათვის წარმოედგინა ის დოკუმენტები, რომლებიც აკლდა საქმის მასალებს. ამასთან დაკავშირებით, მომჩივანმა უარყო მთავრობის განცხადება, თითქოს უზენაესმა სასამართლომ მანამ, სანამ მის საჩივარს დაუშვებლად გამოაცხადებდა, მისცა მას შესაძლებლობა დაემ-ტკიცებინა თავისი გადახდისუუნარობა. (იხ. §27).

## *2. სასამართლოს შეფასება*

38. მოცემულ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ რეალურად მომჩივანს უარი უნდა ეთქვა მის საკასაციო საჩივარზე, რადგანაც მას არ შეეძლო გადაეხადა უზენაესი სასამართლოს ხარჯები.

39. თუმცა სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი უზრუნველყოფს ყველას ჰქონდეს უფლება ნებისმიერი საჩივრით, რომელიც ეხება

მის სამოქალაქო უფლებებს და მოვალეობებს მიმართოს სასამართლოს, (იხ. *Teltronic-CATV v. Poland*, no. 48140/99, §§ 45 and 64, 10 January 2006; *Golder v. the United Kingdom*, judgment of 21 February 1975, Series A no. 18, pp. 13-18, §§ 28-36). იქ, სადაც სააპელაციო სამართალწარმოება არსებობს, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ, რომ ფიზიკურმა და იური-დიულმა პირებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში განაგრძონ მე-6 მუხლის იგივე ფუნდამენტური გარანტიებით სარგებლობა სააპელაციო სასამართლოების წინაშე, როგორც ისინი სარგებლობდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოების წინაშე (იხ. *Brualla Gómez de la Torre v. Spain*, judgment of 19 December 1997, *Reports of Judgments and Decisions* 1997-VIII, p. 2955, § 33; *Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom*, judgment of 10 July 1998, *Reports* 1998-IV, p. 1660, § 72).

აქედან გამომდინარე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მომჩივანს უფლება ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის თანახმად, მისი საქმე განხილულიყო უზენაესი სასამართლოს მიერ, მაგრამ 2004 წ. 30 იანვრისა და 15 მარტის გადაწყვეტილებით ამ უკანასკნელის მიმართ შეიზღუდა ეს უფლება.

40. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, აღნიშნულმა შეზღუდვამ ან შეამცირა ან შეზღუდა გან-მცხადებლის უფლება სასამართლოზე იმდენად, რომ ამ უფლების ძირითადი არსი იქნა ხელყოფილი. ამისათვის სასამართლომ უნდა განიხილოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ უკანასკნელმა მიიღო თავისი დისკრე-ციული ძალაუფლების გამოყენებით, იმის დასადგენად იყო თუ არა მათი შედეგები კონვენციის შესაბამისი (იხ. *Kreuz v. Poland*, no. 28249/95, §§ 55 and 56, ECHR 2001-VI).

41. სასამართლო აცხადებს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყებისათვის ხარჯების გა-დახდის მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან პერსე შეუსაბამოდ. (*Weissman and Others v. Romania*, no. 63945/00, §§ 34 and 35, ECHR 2006-... (extracts)). თუმცა, ასეთი ხარჯების გონივრულობა უნდა შეფასდეს მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, მომჩივნის უნარი გადაიხადოს ის, და სასამართლო პროცესის ეტაპი, რომელზედაც ვრცელ-დება ასეთი შეზღუდვა (იხ. *Kreuz* მითითებული ზემოთ, §§58 და 60). უფრო მეტიც, შეზღუდვა სასამართლო მიმართვაზე შეესაბამება მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული ურთიერთდამოკიდებულება პროპორციულობი-სა გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (*Weissman and Others*, ციტირებული ზემოთ, §36).

42. წარმოდგენილ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს, თავისი საჩივრის ღირებუ-ლების შესაბამისად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და 41-ე მუხლების თანახმად, მოეთხოვებოდა მაქსიმალური ბაჟის გადახდა – 5,000 ლარის ოდენობით (2,200 ევრო) – სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე. ამრიგად, რად-განაც მისმა საჩივარმა მოითხოვა ორი სასამართლო ინსტანციის მიერ განხილვა, რეალური ფინანსური ტვირთი გაორმაგდა. ამრიგად, მომჩივანმა გა-დაიხადა 5,000

ლარის ოდენობის გადასახადი პირ-ველ ინსტანციაში, ვინაიდან საოლქო სასამართლომ უარი უთხრა მას გადასახადის გადავადებაზე (იხ. §24, ზემოთ), მაგრამ ვერ შეძლო გადაეხადა იგივე თანხა საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

43. სასამართლო აღგენს, რომ მთავრობის არ-გუმენტი, რომ „ყველაზე ღარიბ საფეხბურთო კლუბ-საც“ კი საქართველოში შეეძლო უფლება მიეცა თავისი თავისათვის ასეთი ხარჯების გაღებისა ჰიპო-თეტურია და არ არის გამყარებული არავითარი ფაქტებით ან მტკიცებულებით (იხ. *Jedamski and Jedamska v. Poland*, no. 73547/01, § 63, 26 July 2005).

44. მთავრობის შემდეგი არგუმენტი, რომ მომჩივანს, რომელმაც მიიღო მისი სავალო თანხა დინამოს საფეხბურთო კლუბიდან, უნდა გადაედო საჭირო თანხა სასამართლო წარმოების დასაწყებად, არ არის ასევე დამაჯერებელი. ფაქტია, რომ მომჩივანი იყო გადახდისუუნარო და მისი საქმიანობა ჩაიშალა იმ დროისთვის, როდესაც საქმე შევიდა უზენაეს სასამართლოში და ეს უკანასკნელი სათა-ნადოდ იყო ინფორმირებული ამის შესახებ. მომჩივანმა თამაშიც კი შეწყვიტა ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში იმის გამო, რომ არ შეეძლო გადაეხადა მონაწილეობის საფასური (იხ. §§ 26 და 28, ზემოთ). ასეთ გარემოებებში, თუ უზენაესმა სასამართლომ, როგორც ამტკიცებს მთავრობა, მართ-ლაც მხოლოდ ჩაიხედა მომჩივნის შემო-სავლებში, მისი უყურადღებობა, გაცნობოდა კლუბის დანახარჯებს და დაუფარავ ვალებს, როგორც ჩანს იყო თვითნებური. თუ დავუშვებთ, რომ უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მომჩივნის გადახდისუუნარობის თხოვნა არ იყო საკმარისად დასაბუთებული საქმეში არსებული მასალებით, მას უნდა განეცხადებინა ამის თაობაზე 2004 წ. 30 იანვრის გამაფრთხილებელ გადაწყვეტილებაში და მოეწოდებინა ამ უკანასკნელისათვის, რათა მას წარედგინა საჭირო დოკუმენტები. თუმცა, მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენა-ესმა სასამართლომ ასე არ გააკეთა. უზენაესი სა-სამართლოს 2004 წ. 30 იანვრის სხვაგვარი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების განმარტება გაკეთ-და მხოლოდ წინამდებარე სასამართლო პროცესის მსვლელობისას მთავრობის მიერ წარდგენილ პასუხში. (§§ 27, 35 და 36, ზემოთ).

45. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლ პარაგრაფზე მითითება, რომელიც რო-გორც მომჩივანს, ასევე მოპასუხეს აკისრებს მტკი-ცების თანაბარ ტვირთს შეჯიბრებითი ხასიათის სამოქალაქო ტიპის საქმეებში, უადგილოა. წინამდებარე საქმეში პრობლემა მდგომარეობს არა მხარეებს შორის დავის საკითხში, არამედ მხარესა და სასამართლო ხელისუფლებას შორის. სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავს სიტუაციებში, რო-დესაც სასამართლო ხელისუფალნი ჩათვლიან, რომ მხარის განცხადება გადახდისუუნარიანობის შესახებ საეჭვო ან არასაკმარისია, მათ უნდა გამოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია წარსადგენი დოკუმენტაციის მითითებით და/ან უბრძანონ წარდგენილი ინფორ-მაციის გადამოწმება. (იხ. *mutatis mutandis, Jedamski and Jedamska*, cited above, § 64; *Kreuz*, ციტირებული ზემოთ, §64).

46. როგორც არ უნდა იყოს მთავრობის არგუ-მენტები და გამამართლებელი საბუთები, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ

თავად უზენაეს სასამართლოს არ მიუთითებია, რომ მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იყო საკმარისი. იგი ასევე არ შეეცადა მიეღო მომჩივნის ან კომპეტენტური უწყებებისგან გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულება. სასამართლოს გადაწყვეტილებებში ბუნდოვნად იყო აღნიშნული, რომ არ არსებობდა სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლების არავითარი საფუძველი. ასეთ გარემოებებში, უზენაესი სასამართლოს უარი მომჩივნის სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლებაზე, ყოველგვარი შესაბამისი დასაბუთების გარეშე წარმოადგენდა ამ უკანასკნელისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უსაფუძვლო შეზღუდვას.

47. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი მოითხოვდა ბაჟისაგან არა მარტო სრულ ან ნაწილობრივ გათავისუფლებას, არამედ ასევე გამოხატავდა სურვილს, დაეფარა ხარჯები დანაწევრებულად ან სასამართლო განხილვის დასრულების შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომჩივნის თხოვნა სასამართლო ბაჟისაგან მისი გათავისუფლების შესახებ, მართლაც რომ საკასაციო სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად იყო მიმართული. მაგრამ, სასამართლოს აზრით, როდესაც მომჩივანს უარი ეთქვა, ფინანსურ შეღავათზე ყოველ-გვარი დასაბუთებული მიზეზის გარეშე უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობდა ერთადერთი ინტერესით უზრუნველყო შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში (იხ. *Podbielski and PPU Polpure*, no. 39199/98, §66, 26 July 2005). მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ შეზღუდვა წინამდებარე საქმეში იყო წმინდა ფინანსური ხასიათის, რაც არ იყო დაკავშირებული საჩივრის არსებით გარემოებებთან ან მისი წარმატების პერსპექტივასთან. ასეთი შეზღუდვა მოითხოვს განსაკუთრებულად მკაცრ ყურადღებას მართლმსაჯულების ინტერესების თვალსაზრისით (იხ. *Podbielski and PPU Polpure v. Poland*, cited above, §65).

48. ამ მხრივ, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ აბსტრაქტული მითითების გარდა „სამართალწარმოების სამართლიანი და ეფექტური ადმინისტრირების“ ცნებაზე (§36, ზემოთ), მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე კონკრეტული და კანონიერი მიზანი ფინანსური შეზღუდვის გასა-მართლებლად, რომელიც განხორციელდა მომჩივნის უფლებაზე, მისი საქმე განხილულიყო სასამართლოს მიერ. სასამართლომ, განიხილა რა მის ხელთარსებული მასალა, აღნიშნავს, რომ ბაჟი, რომ-ლებიც დაწესდა წინამდებარე საქმეზე, არ ემსახურებოდა მეორე მხარის ლეგიტიმური ინტერესების დაცვას არაანაზღაურებადი სამართლებრივი ხარჯებისაგან ან სამართლებრივი სისტემის დაცვას არა არსებითი საჩივრისგან. მიზნებს, რომლებმაც, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, შეიძლება გაამართლონ სასამართლოზე უფლების შეზღუდვა. (შეად., *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, judgment of 13 July 1995, Series A no. 316-B, pp. 80-81, §§ 61 et seq.). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში სახეზე არ არის უპირატესი საზოგადო ინტერესი.

49. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით და მთლიანად საქმის ფაქტების შეფასებით, სასამართლო ასკვნის, რომ უზენაესმა სასამართლომ

ვერ შეძლო დაეცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინტერესსა, სასამართლო ხარჯების გადახდის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, მომჩივნის ინტერესებს შორის დაემტკიცებინა თავისი საჩივრის სამართლიანობა სასამართლოს გზით.

50. შესაბამისად, განხორციელდა სასამართლო განხილვაზე უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და კონვენციის მე-6§1 მუხლის დარღვევა.

## II. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

51. მომჩივანმა პრეტენზია განაცხადა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის კუთხით, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა დაარღვიეს მისი ქონებრივი უფლებები, როდესაც გააუქმეს 1992 წ. 11 ივლისის ტრანსფერის ხელშეკრულება და უარი უთხრეს სამოქალაქო სარჩელის შეტანაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ.

52. თუ დავუშვებთ, რომ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი მიემართება „*ფედერაციული უფლებების მფლობელობის მოთამაშეზე ტრანსფერს*“ მომჩივანსა და დინამოს საფეხბურთო კლუბს შორის, როგორც ფიფას მოთა-მაშეთა სტატუსის კომიტეტის ბიურომ აღნიშნა თავის 1999 წ. 6 სექტემბრის გადაწყვეტილებაში (იხ. §19 ზემოთ), სასამართლო ასკვნის, რომ მოპასუხე სახელმწიფოს როლი ამასთან დაკავშირებით შეზღუდული იყო ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ ტრანსფერის ხელშეკრულების გაუქმებით, 1998 წ. 13 ივლისის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით.

53. იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის №1 ოქმი საქართველოსათვის ძალაში შევიდა მხოლოდ 2002 წ. 7 ივნისს, სასამართლო ასკვნის, რომ საჩივრის ეს ნაწილი არ შეესაბამება *ratione temporis* კონვენციის დებულებებს, და ამიტომ უნდა გამოცხადდეს დაუშვებლად კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების თანახმად.

54. რაც შეეხება საჩივარს, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა არ განიხილეს მისი სამოქალაქო სარჩელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი არასოდეს ყოფილა უფლებამოსილი, წესდებით ან სასამართლო გადაწყვეტილებით, რომ კომპენსაცია მიეღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისაგან. იმდენად, რამდენადაც №1 ოქმის 1-ლი მუხლი არ უზრუნველყოფს უფლებას ქონების შე-ძენაზე (იხ. *Van der Musselle v. Belgium*, judgment of 23 November 1983, Series A no. 70, p. 23, § 48 ; *mutatis mutandis, Polacek and Polackova v. Czech Republic* (dec.), [GC], no. 38645/97, 10 July 2002), საჩივრის ეს ნაწილი 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით აშკარად დაუსაბუთებელია და დაუშვებლად უნდა იქნეს გამოცხადებული კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად.

### III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

#### 55. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონ-ვენცია ან მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სა-მართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულის მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“

#### ა. ზიანი

56. მომჩივანი მატერიალური ზარალისთვის ითხოვს თანხას იმავე ოდენობით, რაც მოითხოვა ეროვნული სამართალწარმოების მეორე ეტაპზე – 9,600,000 აშშ დოლარი და 2,812,500 ბრიტანული ფუნტი სტერლინგი (რაც მთლიანად შეადგენს 11,750,000 ევროს). მომჩივნის გაანგარიშებით, ეს ის დავალიანებებია, რომელიც უნდა მიეღო დინამოს საფეხბურთო კლუბიდან 1992 წ. 11 ივლისის ტრანსფერის ხელშეკრულებით.

57. მომჩივანმა განაცხადა, რომ არ გააჩნია პრეტენზია არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით.

58. მთავრობამ განაცხადა, რომ საჩივარი მატერიალურ ზარალთან დაკავშირებით იყო დაუსაბუთებელი და არაგონივრული.

59. სასამართლო ვერ პოულობს რაიმე კავშირს დადგენილ დარღვევასა და მოთხოვნილ კომპენსაციას შორის. მას არ შეუძლია სპეკულირება მოახდინოს ეროვნული სამართალწარმოების შედეგთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუკი ის განხორციელ-დებოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფთან შესაბამისობაში (იხ. *Teltronic-CATV*, ციტირებული ზემოთ, §69). ამიტომ სასამართლო უარყოფს მომჩივნის მოთხოვნას.

60. მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე რაიმე მოთხოვნის არარსებობის გამო, სასამართლო არ დაადგენს ამ სახის რაიმე კომპენსაციას (იხ. *Amat-G Ltd and Mebaghishvili v. Georgia*, no. 2507/03, § 72, ECHR 2005-...).

61. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლომ დაადგინა კონვენციის ან მისი ოქმის დარღვევა, აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივ ვალდებულებას არა მარტო გადაიხადოს თანხა, რომელიც დადგენილია სამართლიანი დაკმაყოფილების გზით, არა-მედ, აგრეთვე აირჩიოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ ზოგადი და/ან, თუ საჭიროა, ინდივიდუალური ხასიათის ღონისძიების გატარება მის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში, იმისათვის რათა აღმოიფხვრას სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევა. მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია განა-ხორციელოს ყველა შესაძლებელი ღონისძიება დარღვევის შედეგების გამოსასწორებლად ისე, რომ აღდგეს დარღვევამდე არსებული სიტუაცია (იხ. *Apostol v. Georgia*, no. 40765/02, § 71, ECHR 2006-; *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01, § 198, ECHR 2004-II; *Maestri v. Italy*



[GC], no. 39748/98, § 47, ECHR 2004-I). შესაბამისად, მოცემულ საქმეზე სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით, და საკასაციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვის სხვა შესაძლო გამომწვევი მიზეზების გამოუყენებლად (იხ. *mutatis mutandis*, *Papamichalopoulos and Others v. Greece* (Article 50), judgment of 31 October 1995, Series A no. 330-B, pp. 58-59, §34), სასამართლო მიიჩნევს, რომ ყველაზე შესაფერისი ფორმა საქმის გამოსწორებისა უნდა იყოს მომჩივნის 2004 წ. 5 იანვრის საკასაციო საჩივრის (იხ. §26 ზემოთ), უზენაესი სასამართლოს მიერ, განხილვა კონვენციის მე-6§1 მუხლის მოთხოვნების დაცვით, თუ მომჩივანი ამას მოითხოვს (იხ. *Mehmet and Suna Yigit v. Turkey*, no. 52658/99, §47, 17 July 2007; *mutatis mutandis*, *Gençel v. Turkey*, no. 53431/99, § 27, 23 October 2003).

#### **ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები**

62. მომჩივანი აგრეთვე მოითხოვდა სასამართლო ხარჯის ანაზღაურებას 5,000 ლარის ოდენობით (2,200 ევრო), რომელიც მან გადაიხადა თბილისის საოლქო სასამართლოში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ პირველ ინსტანციაში წარმოებულ საქმეზე (იხ. §24, ზემოთ). საჩივარი არ იქნა წამოყენებული სტრასბურგის სასამართლოში განხორციელებული სა-მართალწარმოებისათვის.

63. მთავრობას საპასუხოდ არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია.

64. სასამართლო აცხადებს, რომ იქ, სადაც დად-გინდა კონვენციის დარღვევა, მას შეუძლია მომჩივანს მიანიჭოს ხარჯების ანაზღაურება, რომელიც გაწეულ იქნა ეროვნული სამართალწარმოების დროს დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან გამოსასწო-რებლად. თუმცა, რადგანაც ერთადერთი დარღვევა, რომელიც აღმოჩენილია მოცემულ საქმეში დაკავშირებულია საკასაციო სასამართლოში სამართალწარმოების შეზღუდვასთან, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ იმ ხარჯებისა და გადასახადების კომპენსი-რებას, რომელიც გაწეული იქნა პირველ ინსტანციაზე სამართალწარმოების დროს (იხ. სხვებს შორის, *Papon v. France*, no. 54210/00, §115, ECHR 2002-VII). ეს საჩივარიც შესაბამისად არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **ზემოხსენებული მიზეზების საფუძველზე, სასამართლო**

1. *აცხადებს* ერთხმად, რომ უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვაზე დაუსაბუთებელი უარის შესახებ პრეტენზია მისაღებად უნდა გამოცხადდეს, ხოლო საჩივრის დანარჩენი ნაწილი დაუშვებლად;

2. *ადგენს* 4 ხმით 3-ის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 6§1 მუხლის დარღვევას.

3. *უარყოფს* ერთხმად მომჩივნის პრეტენზიას სამართლიან დაკმაყოფილებაზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2007 წ. 31 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად.

კონვენციის 45§2 მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 74§2 მუხლის შესაბამისად, მოსამართლე თიურმენის, მულარონის და პოპოვიჩის ნაწილობრივ თანმხვედრი აზრი დაერთო გადაწყვეტილებას.

### მოსამართლეების თიურმენის, მულარონისა და პოპოვიჩის ნაწილობრივ თანმხვედრი აზრი

ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ უმრავლესობას, რომელმაც დაადგინა კონვენციის 6§1 მუხლის დარღვევა მოცემულ საქმეში.

აღვნიშნავთ, რომ:

ა) სადავო გადასახადის ოდენობა ეკვივალენტურია 2,200 ევროსი, თანხისა, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს არაპროპორციულად როგორც ასეთი, როდესაც სახეზეა ზარალის ოდენობა და მომჩივნის შესაძლებლობა (უპირველესი დონის საფეხ-ბურთო კლუბი);

ბ) საქმიდან აშკარად ჩანს, რომ მომჩივანმა ვერ დაუმტკიცა ეროვნულ სასამართლოს თავისი გადახდისუუნარობა. 2003 წ. აპრილში, თბილისის საოლქო სასამართლომ უარი თქვა გადასახადის გადავადებაზე იმ მიზეზით, რომ „მომჩივნის მოთხოვნა არ იყო დასაბუთებული გადახდისუუნარობის შესახებ მტკიცებულებით“. 2004 წ. 5 იანვრის საკასაციო საჩივარში მომჩივანი შემოიფარგლა განცხადებით, რომ „მან შეაჩერა თავისი საქმიანობა ფინანსური პრობლემების გამო (თითქმის გაკოტრების გამო)“;

გ) 2001 წ. იანვარში, მომჩივან კომპანიას დინამოს საფეხბურთო კლუბმა გადაუხადა ვალი 300,000 აშშ დოლარის (236,000 ევროს) ოდენობით.

ამ გარემოებაში ჩვენ ვთვლით, რომ ეროვნული სასამართლოს უარი მომჩივნის მოთხოვნაზე სასამართლო ხარჯებიდან ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლების შესახებ გამართლებულია და არ გულისხმობს შეზღუდვას სასამართლო ხელმისაწვდომობაზე.

ჩვენ გვინდა გავაკეთოთ ორი დამატებითი შენიშვნა არგუმენტებზე, რომელიც მოყვანილ იქნა უმრავ-ლესობის მიერ 6§1 მუხლის დარღვევის დადგენასთან დაკავშირებით:

1) მტკიცებულების მთავარი ნაწილი, რომელიც ამყარებს უმრავლესობის არგუმენტებს მომჩივნის გადახდისუუნარობის შესახებ, არის 2005 წ. 15 მარტის აუდიტორის დასკვნა, დოკუმენტი, რომელიც მომზადდა 2004 წ. იანვარიდან საკმაო

ხნის მერე, მას შემდეგ, რაც უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება;

2) მოცემული სასამართლოს უფლებამოსილებაში არ შედის დაავალდებულოს ეროვნული სასამართლოები „მოსთხოვონ მხარეებს მეტი ინფორმაცია“ ან „შეეცადონ მიიღონ მომჩივნის ან კომპეტენტური უწყებებისაგან რაიმე დამატებითი მტკიცებულება“ სამოქალაქო საქმის განხილვისას. მიღებული წესის თანახმად, მტკიცებულებების წარდგენა ევალებათ მხარეებს და სასამართლოები არ არიან ვალდებული მოუწოდონ ამგვარი ქმედების განხორციელებისკენ (იხ. აღნიშნულთან მიმართებაში სასამართლო გადაწყვეტილების §§ 44, 45 და 46). იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ გაამყარებენ თავიანთ საჩივრებს შესაბამისი მტკიცებულებით, საქმის განხილვის უარყოფითი შედეგის შემთხვევაში მათ მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულონ.